დავით ტვილდიანის
სამედიცინო უნივერსიტეტი

დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტში პედაგოგიური შემადგენლობის სამუშაო დატვირთვის შესახებ
დებულება

შესავალი

წინამდებარე დებულება ადგენს დტსუ-ს პედაგოგიური შემადგენლობის სტრუქტურას, დატვირთვის დროით ნორმებს და პედაგოგიური დატვირთვის დაგეგმვისა და კონტროლის წესებს.

დოკუმენტი შემუშავებულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის; საქართველოს ორგანული კანონის - „შრომის კოდექსის“; „საექიმო საქმიანობის“ შესახებ საქართველოს კანონის; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის №99/ნ - „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ ბრძანების; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 05 იანვრის № 3 – „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ ბრძანების; დტსუ-ს სწავლებისა და ორგანიზების დებულების; დტსუ-ს სარეზიდენტო პროგრამის მართვის რეგულაციების შესაბამისად.

თავი 1: ზოგადი დებულებანი

1.1. დტსუ-ში დგინდება ერთიანი კრიტერიუმები პედაგოგიური შემადგენლობის დატვირთვის შესახებ, პედაგოგიური შემადგენლობის სტუდენტთა კონტიგენტის რიცხვთან შესაბამისობის და სტუდენტთა მიღების საკონტროლო ციფრების სწორი გაანგარიშებისთვის

1.2. დებულების მიზანია დტსუ-ში საგანმანათლებლო პროცესის მართვის გაუმჯობესება, პროფესორ-პედაგოგიური შემადგენლობის სტრუქტურისა და სასწავლო დატვირთვის მოცულობის ოპტიმიზაცია, მეთოდური მუშობის ძირითადი სახეობების დადგენა

1.3. პროფესორ-პედაგოგიური შემადგენლობისთვის სასწავლო დატვირთვა უნივერსიტეტის მიერ დგინდება დამოუკიდებლად

1.4. სასწავლო მუშაობის გაანგარიშება წარმოებს ყოველწლიურად

1.5. პედაგოგების სამუშაო დროის წლიურ პერიოდად ითვლება სასწავლო წელი ზამთრის და ზაფხული არდადეგების ჩათვლით, რომელიც არ ემთხვევა მორიგ შვებულებას. ყველა სახის პედაგოგიური სამუშოსთვის გამოყოფილი დროის საერთო ბიუჯეტი შეადგენს **1500 სთ-ს** წელიწადში. ავადმყოფობის, მივლინების, სხვა დასაბუთებული გარემოებების დროს სასწავლო დატვირთვა სრულდება სხვა პედაგოგის (ან მოწვეული პედაგოგის) მიერ საათობრივი ანაზღაურების წესით. სამუშაოზე დაბრუნების შემდგომ, სასწავლო წლის დამთავრებამდე, აუცილებელია მისი ინდივიდუალური პედაგოგიური დატვირთვის გეგმის შესაბამისი კორექტირება.

თავი 2: სასწავლო მუშაობის სახეობები

2.1. სასწავლო მუშაობას განეკუთვნება:

2.1.1. აუდიტორული მუშაობა: ლექციები, სემინარები, პრაქტიკული მეცადინეობები (ყველა სახეობის, მათ შორის როლური თამაშები, მასტერ-კლასები, მრგვალი მაგიდა, ა. შ. მათ შორის დისტანციური ტექნოლოგიების გამოყენებით), სამეცნიერო პროექტზე მუშაობა

2.1.2. არააუდიტორული მუშაობა: კონსულტაციები, პროფესიონალური პრაქტიკა [სასწავლო, სტუდენტთა და რეზიდენტთა კლინიკურ პრაქტიკაზე დაკვირვება/კონსულტირება

(შეფასების ანგარიშით). სასწავლო-გაცნობითი პრაქტიკა, პრაქტიკა ინდივიდუალური გეგმის მიხედვით, პრაქტიკის ანგარიშის (რეზიდენტი) დაცვა].

2.2. კონტროლის ღონისძიებები მიმდინარე და შემაჯამებელი შეფასების ყველა სახეობა (დაგეგმილი და ასახული სილაბუსში და/ან პროგრამაში): ზეპირი ჩათვლა, ზეპირი გამოცდა, კლინიკურ უნარებში შეფასება, რეფერატის/სამეცნიერო ნაშრომის შეფასება, ყველა სხვა დავალებაში, რომელიც უნდა შეასრულოს (იხ. სასწავლო კურსის სილაბუსის ან პროგრამის მიხედვით) სტუდენტმა, პორტფოლიოს შეფასება, პერიოდული ატესტაცია პროფესიულ (დარგობრივი) უნარებში პროგრესის, საკვალიფიკაციო გამოცდებში შეფასება

2.3 ხელმძღვანელობა: სტუდენტთა, დოქტორანტების და რეზიდენტთა რეფერატების, სამეცნიერო პროექტების

2.4 სამეცნიერო-პედაგოგიური კადრის მომზადება (ასევე განეკუთვნება პუნქტები 1.1, 1.2): დოქტორანტურის მაძიებელთან გასაუბრება, დოქტურანტურაში მისაღებ გამოცდებში მონაწილეობა, დოქტორანტის სამეცნიერო კონსულტირება

2.5 უწყვეტ პროფესიულ განვითარებაში მსმენელთა მომზადება და სასწავლო მუშაობასთან კავშირის მქონე სამუშაოთა სხვა სახეობები.

თავი 3: სასწავლო მუშაობის მოცულობის გაანგარიშება

3.1. დტსუ-ს პროფესორ-მასწავლებელთა სასწავლო მუშაობის მოცულობის გაანგარიშების, დაგეგმვისა და აღრიცხვის დროს აკადემიური (სასწავლო) საათი გათანაბრებულია ასტრონომიულ საათთან. სასწავლო მუშაობა მოიცავს სტუდენტის (ასევე რეზიდენტის, დოქტორანტის) პედაგოგთან საკონტაქტო მუშაობას, მათ შორის ელექტრონული და დისტანციური საგანმანათლებლო ტექნოლოგიების გამოყენებით.

საკონტაქტო სამუშაო შეიძლება იყოს აუდიტორული და არააუდიტორული. კონტაქტურ აუდიტორულ მუშაობას განეკუთვნება როგორც მისი ტრადიციული ფორმები: ლექციები, პრაქტიკულები, სემინარები, ლაბორატორიული სამუშაო, ა. შ. ასევე ელექტრონული სწავლება დისტანციური საგანმანათლებლო ტექნოლოგიების გამოყენებით. მათი გამოყენება, დტსუ-ს შიდა რეგულაციის მიხედვით (იხ. დოკუმენტი), შეიძლება იყოს აუდიტორული დატვირთვის ჩანაცვლებითა და მის გარეშე. აუდიტორული მეცადინეობების ჩანაცვლებისას საკონტაქტო საათები შედის პედაგოგის სასწავლო დატვირთვაში. პედაგოგის ზედამხედველობით სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობის ორგანიზებისა და კონტროლისთვის ელექტრონული და დისტანციური ტექნოლოგიების გამოყენებისას, სასწავლო დატვირთვა იგეგმება როგორც „დამოუკიდებელი მუშაობის კონტროლი“

3.2. მომავალი სასწავლო წლისთვის დაგეგმილი სასწავლო დატვირთვის გაანგარიშებას* ანხორციელებს სასწავლო დეპარტამენტი სასწავლო გეგმის მიხედვით, რომელიც მტკიცდება ყველა (პროგრამა, სექტორი, ნაკადი) სასწავლო კურსისთვის (გარდა 1 კურსის პირველი და მეორე სემესტრისა, რომელიც მზადდება როგორც საორიენტაციო - სამუშო ვერსია) მიმდინარე წლის 1 მარტს.

*შენიშვნა: სასწავლო დატვირთვის გაანგარიშების დამტკიცების თარიღის განსაზღვრისა და მათი კორექტირების ვადებისთვის ხდება შემდეგის გათვალისწინება

სტუდენტთა დაგეგმილი კონტიგენტის მიიღება:

- პირველი კურსისთვის (დიპლომირებული მედიკოსის პროგრამები, დოქტურანტურა, რეზიდენტურა) მიღების გეგმის მიხედვით (ბიუჯეტი: მიღების საკონტროლო ციფრების შესაბამისად; უნივერსიტეტთან შეთანხმებული კონტრაქტის და მიმდინარე სასწავლო წლის არსებულ ფაქტობრივ მიღებასთან შესაბამისად)
- მაღალი (მეორე და ზემოთ) კურსელთათვის - 1 თებერვლის (ბიუჯეტი და კონტრაქტი) მდგომარეობით
- უცხოელ სტუდენტთა (ეროვნული გამოცდების გარეშე, სხვა, მხოლოდ კონტრაქტის საფუძველზე) შემდგომ სასწავლო წელს მიღების შედეგების მიხედვით სასწავლო დატვირთვის კორექტირება პირველი კურსისთვის ხდება მიმდინარე კალენდარული წლის 10 ოქტომბრამდე.

3.3. სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დისციპლინების (უნიფიცირებული მოდულების) სალექციო საათების გაანგარიშება ხდება ნაკადის მიხედვით. ტერმინი „ნაკადი“ გულისხმობს სასწავლო ჯგუფების ერთობლიობას, გაერთიანებულს ერთნაირი შინაარსით და ტუტორული საათების მოცულობით, სტუდენტთა **საერთო რაოდენობა 70-მდე (არანაკლებ 30-ისა** ნაკადში). შესაძლებლობისას, შეიძლება სხვადასხვა პროგრამის (დმ; დმ ე-პდს) ჯგუფების ერთ ნაკადში გაერთიანება ლექციის დაგეგმვისას

3.4. პრაქტიკული და სასემინარო მეცადინეობების დროს (დმ სტუდენტები), ძირითად ერთეულს წარმოადგენს სასწავლო ჯგუფი **15 სტუდენტით (მაგრამ არა უმეტეს 25-ისა)** საბაზისო სამედიცინო სწავლების ეტაპზე. **ასევე 8-10 სტუდენტი (მაგრამ არაუმეტეს 15-ისა)** სწავლების კლინიკურ ეტაპზე. ტერმინი „ქვეჯგუფი“ გულისხმობს ჯგუფის ნაწილს; ჯგუფის დაყოფა ხდება კლინიკური უნარების და/ან სხვა ლაბორატორიული, და/ან სამეცნიერო კომპეტენციის გამომუშავებაზე გამიზნული სწავლებისა და ტრენინგისთვის, რაც დასაბუთებულია დატვირთვის შემსრულებელი სტრუქტურული ქვედანაყოფის მიერ. ზედამხედველობით განხორციელებული სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობისას (უფრო მეტად განეკუთვნება სპეციალიზაციის, ე. წ. კლინიკური ქლერქშიპი სწავლების ეტაპს) შესაძლებელია ჯგუფის სამუშაო ქვეჯგუფებად დაყოფა და/ან გარკვეული სიტუაციებისთვის სტუდენტის ინდივიდუალური სამუშაოს განხორციელება (მაგ: მეექვსე კურის კლინიკური ელექტივის ფარგლებში).

თუ პრაქტიკული და ლაბორატორიული მეცადინეობები ტარდება ელექტრონული და/ან დისტანციური საგანმანათლებლო ტექნოლოგიებით ჯგუფის ქვეჯგუფად დაყოფა არ ხორციელდება.

სალექციო კურსები სპეციალიზაციის ან ელექტივის ან ფაკულტეტის **ფარგლებში იგეგმება 25 (მაგრამ არანაკლებ 10 სტუდენტისა)** შემთხვევაში. გარკვეულ შემთხვევაში (ასევე სადოქტორო და სარეზიდენტო მზადების პროგრამებში) აღნიშნულის რეალიზაცია მცირე რიცხვის სტუდენტებში ხდება დეკანის რეკომენდირებითა და რექტორის გადაწყვეტილების საფუძველზე.

3.5. სასწავლო მუშაობის სავალდებულო ნაწილს აქტიური დატვირთვა წარმოადგენს, რომელიც მოიცავს აუდიტორულ მეცადინეობებს, კონსულტაციებს, მიმდინარე და შემაჯამებელი კონტროლის ღონისძიებებს. ქვემოთ მოყვანილია სასწავლო მუშაობის სახეობები და გაანგარიშებისთვის განსაზღვრული დროის ნორმები.

ცხრილი 1 - სასწავლო მუშაობის სახეობები და დროის ნორმები პედაგოგიური დატვირთვის გაანგარიშებისთვის

№	სამუშოს სახეობები	დროის ნორმა (საათებში)	შენიშვნა
		1. აუდიტორული მეცადინეობები	
1.1	ლექციების კითხვა (მათ შორის დისტანციური ტექნოლოგიების გამოყენებით	1 სთ 1 აკადემიური სთ - სთვის	ცხრილის მიხედვით
1.2	სემინარების და პრაქტიკული მეცადინეობების, ლაბორატორიული მუშაობის (მათ შორის ინტერაქციული** ფორმებით) ჩატარება	1 სთ ჯგუფზე (ქვეჯგუფზე) 1 აკადემიური სთ - სთვის	ცხრილის მიხედვით
1.3	როლური თამაშები, ჯორნალ ქლაბის ფორმატში სემინარები, მრგვალი მაგიდა, კლინიკური გასინჯვის უნარების, სწავლების ფორმატები, ა. შ. (მათ შორის დისტანციური ტექნოლოგიების გამოყენებით)	1 სთ 1 აკადემიურ სთ - ზე ჯგუფზე ან თითოეულ პედაგოგზე	დისციპლინაზე გამოყოფილი აუდიტორული საათების ფარგლებში
		2. კონსულტაციები	
2.1	კონსულტაციების ჩატარება ჯგუფში	20%-მდე დამოუკიდებელი მუშაობის	ცხრილის მიხედვით, მათ შორის online რეჟიმში
2.2	კონსულტაციების ჩატარება ინდივიდუალური სტუდენტისთვის	არა უმეტეს 10%-ისა დამოუკიდებელი მუშაობის მოცულობის	
2.3	სტუდენტთა დამოუკიდებელ მუშაობაზე დაკვირვება და ზედამხედველობა - მათ შორის კონსულტირების მიზნით	არაუმეტეს 20%-ისა სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის	ცხრილის და/ან ინდივიდუალური ცხრილის მიხედვით
2.4	რეზიდენტთა დამოუკიდებელ მუშაობაზე დაკვირვება და ზედამხედველობა - მათ შორის კონსულტირების მიზნით	არაუმეტეს 10%-ისა რეზიდენტის დამოუკიდებელი მუშაობის	ცხრილის და/ან ინდივიდუალური ცხრილის მიხედვით
2.5	გამოცდის (ზეპირი) წინა კონსულტაციები	2 სთ - ჯგუფზე	ცხრილის მიხედვით
	პროფესიული უნარების პროგრესში ატესტაციის წინა კონსულტაცია	2 სთ - ჯგუფზე	
	კონსულტაცია საკვალიფიკაციო გამოცდებისთვის	2 სთ - ჯგუფზე	
		3. კონტროლი	
3.1	მიმდინარე შეფასება (თეორიულ საკითხებში): ზეპირი გამოცდა	0.5 სთ ერთ გამოსაცდელზე	ცხრილის მიხედვით
3.2	მიმდინარე შეფასება (თეორიულ საკითხებში): ზეპირი ჩათვლა	0.3 სთ ერთ გამოსაცდელზე	ცხრილის მიხედვით
3.3	მიმდინარე შეფასება კლინიკურ უნარებში	0.5 სთ ერთ გამოსაცდელზე	ცხრილის მიხედვით

3.4	პროფესიულ უნარებში პროგრესის ატესტაცია	0.5 სთ თითოეულ გამოსაცდელზე კომისიის თითოეულ წევრს	არაუმეტეს 6 სთ-ისა დღეში თითოეულ გამოსაცდელს, კომისიის წევრთა რაოდენობა არაუმეტეს 5 წევრისა
3.5	გამოსაშვები საკვალიფიკაციო გამოცდები	0.5 სთ თითოეულ გამოსაცდელზე კომისიის თითოეულ წევრს	არაუმეტეს 6 სთ-ისა დღეში თითოეულ გამოსაცდელს, კომისიის წევრთა რაოდენობა არაუმეტეს 5 წევრისა
3.6	რეფერატების რეცენზირება	0.5 სთ - 1 რეფერატზე	სასწავლო კურსით დაგეგმილი
3.7	კვლევითი პროექტის/ნაშრომის რეცენზირება	3 სთ - ნაშრომზე	სტუდენტის ინდივიდუალური გეგმის მიხედვით
3.8	სხვა საშინაო-საკონტროლო დავალების გასინჯვა და ჩატარება	0.3 სთ - ნაშრომზე	სასწავლო კურსის ფარგლებში დაგეგმილი
3.9	სამუშაო რვეული - პორტფოლიო	1 სთ - 1 პორტფოლიო	სასწავლო კურსის ფარგლებში დაგეგმილი
4. პრაქტიკა			
4.1	სტუდენტთა წინასადიპლომო მზადების (კლერქშიპი) სამუშაო გამოცდილება ზედამხედველობით	3 სთ სამუშაო დღეზე 1 სასწავლო ჯგუფზე გაანგარიშებით	კლინიკურ ბაზაზე პრაქტიკის ტრენინგის ჩატარების პირობებში
4.2	სასწავლო-გაცნობითი პრაქტიკა	6 სთ დღეში სასწავლო ჯგუფზე (ქვეჯგუფზე)	ქვეჯგუფი 10 სტუდენტი
4.3	ინდივიდუალური პრაქტიკა	1 სთ სამუშაო დღეზე გაანგარიშებით	ელექტივის (მეექვსე კურსი) ფარგლებში
4.4	პრაქტიკის ანგარიშის დაცვა	0.3 სთ - 1 სტუდენტზე 0.8 სთ - 1 რეზიდენტზე	
5. ხელმძღვანელობა			
5.1	ხელმძღვანელობა, კონსულტირება, რეცენზირება და ჩაბარება რეფერატების, კვლევითი პროექტების	3 სთ 1 ნამუშევარზე ან 1 პროექტზე	არაუმეტეს 15 ნაშრომისა ერთ პედაგოგზე სემესტრში
5.2	ხელმძღვანელობა, კონსულტირება, რეცენზირება და ჩაბარება კვლევითი ნაშრომების (დმ სტუდენტები, დოქტორანტები, რეზიდენტები)	20 სთ - 1 ნამუშევარზე	არაუმეტეს 5 ნაშრომისა ერთ პედაგოგზე სემესტრში
6. სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების მომზადება			
6.1	სადოქტორო დისერტაციის მომზადებაში დოქტორანტის ხელმძღვანელობა	50 სთ - წელიწადში თითოეულ დოქტორანტზე	
6.2	გასაუბრება დოქტურნტურაში ჩაბარების მაძიებელთან	0.5 სთ - 1 მაძიებელზე	
6.3	დოქტურანტური მისაღები გამოცდები	1 სთ - თითოეულ გამოსაცდელზე	კომისიის შემადგენლობა არაუმეტეს 5 წევრისა
7. უწყვეტ პროფესიულ განვითარების ფარგლებში მსმენელთა მომზადება, სხვა სასწავლო სამუშაოები (ასევე გამოიყენება ამავე ტაბულის ყველა შესაბამისი პუნქტი 1.1 -1.3, კონსულტაციისა და კონტროლის შესაბამისი ღონისძიებები)			

7.1	პროგრამის სამეცნიერო ხელმძღვანელობა: კვალიფიკაციის ამაღლების (უპგ)	20 სთ	წელიწადში
	პროფესიული გადამზადების	50 სთ	
7.2	მსმენელთა ხელმძღვანელობა, კონსულტირება, საკვალიფიკაციო ნამუშევართა ჩაბარება	10 სთ - თითოეულ მსმენელზე	
7.3	სხვა სამუშაო: ურთიერთდასწრება	10 სთ-მდე წელიწადში თითოეულ პედაგოგზე	

****შენიშვნა: ინტერაქციული ფორმის მეცადინეობებს გარდა ცხრილში აღწერილისა, განეკუთვნება; პრობლემაზე-დაფუძნებული სწავლება, ვებინარი, ვიდეოკონფერენცია, ტრენინგი; სიმულაცია; ქეისებზე-დაფუძნებული სწავლება, კურსის ვიდეოპრეზენტაციის მომზადება/ჩატარება, ა. შ.**

თავი 4: სასწავლო მეთოდური, სამეცნიერო-კვლევითი და ორგანიზაციურ-მეთოდური მუშაობა (სახეობები და ნორმები)

სასწავლო მუშაობის ყველა სახეობა უზრუნველყოფილი უნდა იყოს აუცილებელი მასალებით და დტსუ-ის პედაგოგების სამეცნიერო-კვლევითი და ორგანიზაციულ-მეთოდური მუშაობით. ამ სამუშაო სახეობათა ნორმები მოყვანილია ცხრილ 2-ში.

ცხრილ 2. დროითი ნორმები სასწავლო-მეთოდური, სამეცნიერო-კვლევითი და საორგანიზაცო-მეთოდური მუშაობის გაანგარიშებისთვის

№	სამუშოს დასახელება	დროის ნორმა (საათებში)	შენიშვნა
	1. სასწავლო-მეთოდური მუშაობა		
1.1	**ლექციების მომზადება:** დმ-ის პროგრამებისთვის	2 სთ - 1 აკადემიურ საათზე	
	სადოქტორო პროგრამისთვის	3 სთ - 1 აკადემიურ საათზე	
	ახალი სასწავლო კურსისთვის	4 სთ - 1 აკადემიურ საათზე	
	უწყვეტი პროფესიული განვითარების კურსისთვის და რეზიდენტურის კურსისთვის	3 სთ - 1 აკადემიურ საათზე	ასეთი კურსის მიმწოდებელი დეპარტამენტი/პედაგოგისთვის
1.2	**მზადება:** სხვადასხვა დისციპლინებში სემინარებისა და პრაქტიკული მეცადინეობებისთვის	1 სთ - 1 აკადემიურ საათზე	
	სამეცნიერო-კვლევითი სემინარისთვის დმ-ის პროგრამებში	2 სთ - 1 აკადემიურ საათზე	
	სემინარული და პრაქტიკული მეცადინეობებისთვის დოქტორანტურის პროგრამაში	4 სთ - 1 აკადემიურ საათზე	
	პრაქტიკული მეცადინეობა უწყვეტი პროფესიული განვითარების და სარეზიდენტო პროგრამებში	2 სთ - 1 აკადემიურ საათზე	ასეთი კურსის მიმწოდებელი დეპარტამენტი/პედაგოგისთვის
1.3	**მომზადება:** ახალი სასწავლო ან რევიზირებული კურსისთვის ლაბორატორიული, პრაქტიკული და სასემინარო მეცადინეობების მეთოდური შემუშავება	1 სთ - ახალი დასახელების თითოეული საათისთვის	

	ლაბორატორიული, პრაქტიკული და სასემინარო მეცადინეობების გადამუშვება მეცნიერების (სგ) უკანასკნელი მიღწევების მიხედვით	0.5 სთ - ახალი დასახელების თითოეული საათისთვის	
1.4	საპროექტო (კვლევითი) სამუშაოთა თემების შემუშავება სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობისთვის	4 სთ-მდე 1 სამუშაოზე	
1.5	ადაპტირება, შემუშავება ახალი სასწავლო ქეისების (PBL-სწავლებისთვის) უნივერსიტეტში +და გამოცემისთვის/გამოყენებისთვის	დმ ე-პდს-ის ფორმატში 1 ქეისი 60 სთ. სხვა ფორმატები 6 სთ - 1 ქეისზე	
1.6	საწავლო-მეთოდური მასალების მომზადება უპგ-ის და რეზიდენტების კურსისთვის (მათ შორის აქტიური და ინტერაქტიური ფორმის სცენარების ჩათვლით)	30 სთ - 1 ნაბეჭდ გვერდზე	იხ. შენიშვნა **
1.7	სასწავლო-კვლევითი კადრის მოსამზადებელი პროგრამის შემუშავება	25 სთ ჩათვლის (კრედიტის) 1 ერთეულზე	
1.8	სასწავლო დისციპლინებში ტესტების ბანკის მომზადება	10 სთ 1 ჩათვლით ერთეულზე	
1.9	შეფასების ფონდისთვის მასალის (მაგ: ქეისი) მომზადება (დისციპლინაში)	5 სთ 1 ჩათვლით ერთეულზე	
1.10	შეფასების ფონდისთვის მასალის მომზადება (საკვალიფიკაციო ატესტაცია)	50 სთ	
1.11	სასწავლო მასალების (სახელმძღვანელო) მომზადება	50 სთ 1 ნაბეჭდ ფურცელზე	
1.12	რეცენზირება სახელმძღვანელოების, სასწავლო-მეთოდური, სხვა მასალები (დამატებითი ანაზღაურების გაერშე)	3 სთ 1 ნაბეჭდ ფურცელზე	
1.13	სცენარის მომზადება და სასწავლო ვიდეოფილმის გადაღება	100 სთ-მდე	
1.14	სამუშაოები დაკავშირებული სასწავლო პროგრამისთვის საინფორმაციო და პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით: - სასწავლო პროცესში საინფორმაციო-კომუნიკაციური ტექნოლოგიების შემუშავება და დანერგვა - მულტიმედიური ტექნოლოგიების შემუშავება და გამოყენება სასწავლო პროცესში	70 სთ წელიწადში 100 სთ წელიწადში	
1.15	**კვალიფიკაციის ამაღლება:** ახალი სასწავლო-მეთოდური მასალების შესწავლა	25 სთ-წელიწადში (ან გამომუშავებული კრედიტების მიხედვით)	
	პროგრამული გადამზადება, დამატებითი კვალიფიკაციის მიღება	30 სთ-წელიწადში (ან გამომუშავებული კრედიტების მიხედვით)	
	მოწინავე გამოცდილების შეძენა სამედიცინო განათლებაში	30 სთ-წელიწადში (ან გამომუშავებული კრედიტების მიხედვით)	
1.16	კურსის ხელმძღვანელთა/სხვა პედაგოგთა ლექციებზე დასწრება შემდგომი განხილვით	20 სთ წელიწადში	
1.17	სპეციალობების (და/ან პროგრამული) ფარგლებში კურსის პროგრამის ყოველწლიური განახლება/რევიზირება	20 სთ	
1.18	სტუდენტ-ტუტორთა მიერ ორგანიზებული ურთიერთსწავლების კურსის რევიზირება	10-20 სთ	
1.19	სტუდენტთა მიერ მომზადებული მასალების (peer-სწავლების, პაციენტის განათლებაზე, ა. შ. გამიზნული) რედაქტირება	10 სთ 1 ნაბეჭდ ფურცელზე	
1.20	SYSSA-ს ორგანიზებით სამეცნიერო სესების მომზადებაში დახმარება	3-4 სთ - სამეცნიერო სესიის 1 სთ-ზე	
	2. სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა		
2.1	სამეცნიერო კვლევა საუნივერსიტეტო თემის ფარგლებში	60 სთ - 1 ნაბეჭდ ფურცელზე	
2.2	მონოგრაფიის გამოსაცემად მომზადება	90 სთ - 1 ნაბეჭდ ფურცელზე	

2.3	სტატიის მომზადება სამეცნიერო ჟურნალში პუბლიკაციისთვის	60 სთ - 1 ნაბეჭდ ფურცელზე	
2.4	კონფერენციებსა, სიმპოზიუმებზე, ა. შ. მოხსენებით გამოსვლა და/ან პუბლიკაცია	30 სთ - 1 ნაბეჭდ ფურცელზე	
2.5	სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ხელმძღვანელობა მოხსენების, კონფერენციის გამოსვლისთვის მომზადება	3 სთ - 1 ნამუშევარზე	
	სამეცნიერო წრის ხელმძღვანელობა	30 სთ	
2.6	სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომების (მათ შორის დისერტაციის) რეცენზირება და ექსპერტიზა	3 სთ ერთ ნაბეჭდ ფურცელზე	არაუმეტეს 30 სთ-ისა 1 ნაშრომზე
2.7	სამეცნიერო ჟურნალების რედკოლეგიაში მუშაობა	30 სთ წელიწადში	
2.8	სადისერტაციო საბჭოში (დაცვის საბჭო) მონაწილეობა	10 სთ - 1 დაცვაზე	
2.9	დაგეგმილი დისერტაციის შესრულება პედაგოგი-დოქტორანტის მიერ (დაგეგმილ ვადაში)	300 სთ	
2.10	ექსპერტული კომისიის წევრობა პროფესორ-მასწავლებელთა არჩევნებში	25-30 სთ	
2.11	**საგრანტო განაცხადზე მუშაობა:** თემის ირგვლივ ტექნიკური ამოცანის შემუშავება	40-60 სთ	
	სამეცნიერო კვლევითი (და/ან განმავითარებელი პროექტისთვის) პროექტის შემუშავება	80-160 სთ	
	გრანტის განაცხადის წარსადგენ ფორმატში დამუშავება და წარდგენა	80 სთ	
2.12	საერთაშორისო სამეცნიერო (და/ან განვითარებაზე ორიენტირებულ) პროექტებში საერთაშორისო კოლაბორანტებთან მუშაობა	100 სთ	
	3. ორგანიზაციულ-მეთოდური მუშაობა		
3.1	სხვადასხვა საბჭოებში მუშაობა (ფაკულტეტის) და/ან უნივერსიტეტის (სამეცნიერო საბჭოში, მეთოდურ საბჭოში, სხვადასხვა კომიტეტის (მაგ: შეფასების) წევრობა	30-60 სთ	გამოითვლება შესაბამისი საბჭოების/კომიტეტების დატვირთვიდან
3.2	ხარისხის თვითშეფასების ჯგუფში მუშაობა	60-100 სთ	გამოითვლება ხარისხის თვითშეფასების გეგმის მიხედვით
3.3	უნივერსიტეტის ფაკულტეტის და/ან სტუდენტების მიერ დაგეგმილ ღონისძიებებში მონაწილეობა	1 ღონისძიება 2-5 სთ	
3.4	**ISE კონფერენციის საორგანიზაციო-მეთოდური ხელმძღვანელობა:** საორგანიზაციო კომიტეტის წევრობა	50 სთ - წელიწადში (1 კონფერენცია)	
	სამეცნიერო ჯგუფში მუშაობა	40 სთ - წელიწადში	
	ტექნიკურ ჯგუფში მუშაობა	70 სთ - წელიწადში	
3.5	**პროფესიული საზოგადოების წევრობა და აქტიური მონაწილეობა:** სამუშაო შეხვედრების, ტრენინგების, სხვა პროფესიული და ზოგადად საზოგადოებრივი სარგებლის ღონისძიებებში მონაწილეობა (ანაზღაურების გარეშე)	10 სთ - 40	მტკიცდება სათანადო მასალების წარმოდგენით ჩართულ პირთათვის
	პროფესიული საზოგადოების მიერ ორგანიზებული კონფერენციების მომზადებაში მონაწილეობა (ანაზღაურების გარეშე)	20 სთ - 60	მტკიცდება სათანადო მასალების წარმოდგენით

			ჩართულ პირთათვის
	პროფესიული საზოგადოების მიერ დარგის განვითარებაზე გამიზნულ აქტივობებში მონაწილეობა (ანაზღაურების გარეშე)	40 სთ - 80	მტკიცდება სათანადო მასალების წარმოდგენით ჩართულ პირთათვის
4. სამკურნალო საქმიანობა (კლინიკური მიმართულების პედაგოგებისთვის)			
4.1	მიმართულების პროფესორი: ავადმყოფთა დროული გამოკვლევის და მკურნალობის ორგანიზება, შემოვლები, კონსულტირება, ოპერაციები (ქირურგიული პროფილის); ორგანიზებას უკეთებენ საავადმყოფოს შტატისთვის სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციების ორგანიზებას დაავადებათა დიგნოსტიკის, მკურნალობის და პროფილაქტიკის საკითხებზე	≈ 375 სთ წელიწადში	
4.2	ასოცირებული პროფესორი: ავადმყოფთა დროული გამოკვლევის და მკურნალობის ორგანიზება, შემოვლები, კონსულტირება, ოპერაციები (ქირურგიული პროფილის); ორგანიზებას უკეთებენ საავადმყოფოს შტატისთვის სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციების ორგანიზებას დაავადებათა დიგნოსტიკის, მკურნალობის და	≈ 375 სთ წელიწადში	
4.3	ასისტენტ - პროფესორი: გარდა პედაგოგიური, სასწავლო-მეთოდური, სამეცნიერო მუშაობისა, ასრულებენ შესაბამისი მიმართულებით (სპეციალობა) საექიმო საქმიანობას	≈ 750 სთ წელიწადში	

თავი V: დტსუ პედაგოგთა აკადემიური დატვირთვა

5.1. დტსუ-ში უმაღლესი განათლების დონის საგანმანათლებლო პროგრამებში აკადემიური დატვირთვა შტატის პერსონალისთვის დიფერენცირებულად დგინდება პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობის თანამდებობების მიხედვით არაუმეტეს 900 (ჯამურად) საათისა (და არაუმცირეს 200 საათისა, თანამდებობრივი ხელფასის ფარგლებში) სასწავლო წლის განმავლობაში (თანამდებობრივი ხელფასის ფარგლებში)

5.2. დტსუ-ს პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობისთვის შემდეგი აკადემიური დატვირთვა*** დგინდება:

პროფესორი	300-650
ასოცირებული პროფესორი	400-750
ასისტენტ პროფესორი	500-850
ასისტენტი	220-350
დეპარტამენტის ხელმძღვანელი	300-600 (პროფ.) 400-700 (ასოც. პროფ.)

*****შენიშვნა: იხ. ამ დოკუმენტის თავი VII, პარაგრაფი 7.5-ში:**

(i)+(ii)+(iii) – საერთო სასწავლო დატვირთვა, ვარიანტების ჩამონათვალში - თითოეული კატეგორია სვეტში მარჯვენა მხარეს შეესაბამება.

i - შესაბამისია სვეტის მარცხენა მხარის.

არჩეულ პერსონალს თანამდებობრივი ხელფასი ეძლევა სვეტის მარცხენა მხარეს აღნიშნული აუდიტორიული დატვირთვის მიხედვით; ყველა დამატებით ჩატარებული საათი ანაზღაურდება საათობრივი წესით; ამასთან ჯამში ამ სახეობის დატვირთვა, არც ერთი კატეგორიის შემთხვევაში, არ უნდა აღემატებოდეს წლიურ 900 სთ-ს.

სასწავლო დატვირთვის კონკრეტული მოცულობა პედაგოგის ინდივიდუალური გეგმის მიხედვით დგინდება დაკავებული თანამდებობის (მოვალეობების) გათვალისწინებით, რაც გათვალისწინებულია შრომითი ხელშეკრულებით მათ შორის სტუდენტებთან ინდივიდუალური, სამეცნიერო-კვლევითი, სხვა პედაგოგიური მუშაობით, რაც გათვალისწინებულია შრომითი მოვალეობებით და (ან) ინდივიდუალური გეგმით, მეთოდური, მოსამზადებელი, ორგანიზაციული, დიაგნოსტიკური, მონიტორინგი, სხვა სახეობები ჩატარებული სტუდენტებთან; ასევე მუშაობა დოქტორანტებთან, რეზიდენტებთან, უწყვეტი პროფესიული განათლების ფარგლებში (იხ. აგრეთვე ტაბულა 1).

გარკვეულ შემთხვევებში კონკრეტული პედაგოგის სასწავლო დატვირთვა შეიძლება განსაზღვრული იყოს უნივერსიტეტის (ფაკულტეტის) აკადემიური საბჭოს წარდგინებით სასწავლო დარგში პრორექტორის მიერ, ზემოთ განსაზღვრული მინიმუმის ქვემოთ, პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობის იმ წარმომადგენელთათვის, რომელნიც ეწევიან (და ან დაევალებათ) უნივერსიტეტის ინტერესებისთვის დამატებითი ორგანიზაციულ-მეთოდური საქმიანობა.

თავი VI: დტსუ-ს პედაგოგთა სასწავლო-მეთოდური, სამეცნიერო, ორგანიზაციული მუშაობა: პედაგოგთა ინდივიდუალური დაგეგმვისა და კონტროლის მექანიზმები

6.1. ზოგადი დებულებანი

დოკუმენტის ეს განაკვეთი განკუთვნილია მუშაობის ინდივიდუალური გეგმების შედგენისთვის; საათების რეკომენდირებული მოცულობა ჩარჩო (საორიენტაციო) ხასიათისაა. კონკრეტული ციფრები დგება (დგინდება) პედაგოგის თვითშეფასების საფუძველზე და სასწავლო სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელის შემთხვევაში - მას ამტკიცებს პრორექტორი სასწავლო დარგში.

განსაკუთრებული ყურადღება ინდივიდუალური გეგმის შედგენისას უნდა მიექცეს შესრულების კონტროლის საშუალებებს (ხერხებს). როგორც წესი, ესაა სასწავლო, მეთოდური და სამეცნიერო დოკუმენტაცია. ქვემოთ ტექსტში ზ/ა დოკუმენტაცია მოცემულია „კონტროლთან“ კავშირში (მის შემდეგ).

6.2. სასწავლო-მეთოდური მუშაობა

6.2.1. ლექციებისთვის მომზადება: 2 სთ 1 სთ ლექციაზე. *კონტროლი*: დისცილინის/კურსის პროგრამა, სამუშაო მასალები (კონსპეტების, სხვა), საგამოცდო ბილეთები. სამუშო მასალები მაგ: კონსპექტი უნდა მოიცავდეს: ლექციათა რუბრიკაციას, ძირითადად განმარტებებს, ნახატებს, გრაფიკებს, ა. შ. , მასალებს, რომლებიც ურიგდებათ სტუდენტებს. ელექტრონული ვერსია უნდა ინახებოდეს სტრუქტურულ ერთეულში და სასწავლო განყოფილებაში

6.2.2. პრაქტიკული და ლაბორატორიული მეცადინეობებისთვის მზადება: 1 სთ 1 აკადემიურ საათზე. *კონტროლი*: მეთოდური და სასწავლო მასალები: მეცადინეობების პროგრამა; დავალებები სტუდენტებისთვის; სტუდენტების მიერ მეცადინეობებზე შესრულებული გაანგარიშების, გრაფიკული გამოსახულების, საკონტროლო და სხვა ნამუშევარი მასალები მიმდინარე და წინა სასწავლო წლის.

სხვა ყველა შესაბამისი მეცადინეობების (იხ. ტაბულა 2) მომზადება ასევე *კონტროლირდება* განსაზღვრული მეთოდური მასალებით, სხვა ნამუშევარი მასალებით.

6.2.3. ახალი სასწავლო და რევიზირებული კურსის/მოდულის ადაპტირება, ქეისების შედგენა, საპროექტო თემების შედგენა, ა. შ. (იხ. ტაბულა 2) *კონტროლირდება, დასტურდება* - მომზადებული მასალებით

6.2.4. პროგრამათა შემუშავება - კონტროლი შემუშავებული და შეფასებული პროგრამა

6.2.5. შეფასების ფონდისთვის მასალების შემუშავება - *კონტროლი*: შემუშავებული მასალები

6.2.6. სახელმძღვანელოთა რევიზირება, სასწავლო ვიდეოფილმი - *კონტროლი*: შესაბამისის წარდგენით

6.2.7. პედაგოგიური კვალიფიკაციის ამაღლება - ფაქტობრივად დახარჯული დროის მიხედვით. *კონტროლი:* სტაჟირების, კვალიფიკაციის ამაღლების სერტიფიკატები, ლექციებზე დასწრების/განხილვის ოქმები; სხვა შესაბამისი მტკიცებულებები

6.3. სამეცნიერო მუშაობა

6.3.1. გამოსაცემად მზად არსებულ სახელმძღვანელოთა და დამხმარე სახელმძღვანელოთა გამოცემა. *კონტროლი:* გამოცემული სახელმძღვანელოები (ან შუალედური ანგარიშისთვის ხელნაწერები)

6.3.2. სამეცნიერო სტატიების წერა და გამოსაცემად მომზადება; *კონტროლი:* გამოცემული სტატიები

6.3.3. სამეცნიერო მასალების რეცენზირება და ექსპერტიზა: დასაშვებია ფაქტობრივად დახარჯული დროც, ვინაიდან ამ სახის სამუშოს დაგეგმვა, როგორც წესი, წინასწარ შეუძლებელია, რეკომენდირებულია გათვალისწინება როგორც ინდივიდუალური გეგმის ცვლილება დავალებით (სტრუქტურის/დეპარტამენტის ხელმძღვანელის, აკადემიური საბჭოს, ა. შ. მიერ) გეგმის სხვა განაკვეთების შესაბამისი შემცირების ხარჯზე

6.3.4. სამეცნიერო-კვლევით პროექტებზე (გეგმიური ან ინიცირებული თემატიკით) მუშაობა. *კონტროლი:* ყველა სახის სამეცნიერო პუბლიკაცია, ანგარიშების და დისერტაციის ჩათვლით

6.3.5. სტუდენტთა სამეცნიერო ხელმძღვანელობა - *კონტროლი:* მომზადებული პრეზენტაციები/პუბლიკაციები

6.3.6. დოქტორანტთა სამეცნიერო ხელმძღვანელობა -*კონტროლი:* სადოქტორო კომიტეტის ცნობა (დოქტორანტის მოზადების/ინდივიდუალური გეგმის მიხედვით)

6.3.7. ჟურნალების რედკოლეგიაში მუშაობა, სადისერტაციო საბჭოში, ა. შ. (იხ. ცხრილი 2-ის მეორე თავი) *კონტროლი:* შესაბამისი ფაქტობრივი მასალების მიხედვით

6.4. ორგანიზაციულ-მეთოდური მუშაობა

6.4.1. ცხრილი 2-ის მესამე თავით განსაზღვრული დატვირთვის ჩათვლა ხდება დამატებითი ანაზღაურების გარეშე ჩატარებული სამუშაოს პირობებში. *კონტროლი:* (i) დამტკიცებული გეგმები და დოკუმენტები; (ii) საბჭოებსა და კომისიებში მუშაობისთვის -*კონტროლი:* შესაბამისი ჩართულობის დამადასტურებელი ბრძანებები, განკარგულებები, ოქმები, დასწრების პროტოკოლები

6.4.2. პროფესიული საზოგადოების წევრობა და აქტიური მონაწილეობა (დამატებითი ანაზღაურების გარეშე) *კონტროლი:* ჩართულობის და მონაწილეობის შესახებ სათანადო მასალების წარმოდგენით.

6.5. სამკურნალო საქმიანობა (კლინიკური მიმართულების პედაგოგებისთვის)

6.5.1.კონტროლი: დადასტურება პარტნიორი კლინიკის ხელმძღვანელების ხელმოწერის საფუძველზე

7. დტსუ-ში პედაგოგიური დატვირთვის დაგეგმვა და კონტროლი

7.1. პედაგოგი ვალდებულია ყველა სამუშაოების ზ/ა სახეობების შესახებ დოკუმენტაციის წარმოდგენაზე

7.2. პედაგოგიური დატვირთვის შესრულებაზე პასუხისმგებელია დეპარტამენტის (და/ან მიმართულების, საგანმანათლებლო ერთეულის?) ხელმძღვანელი

7.3. ინდივიდუალური გეგმის შესრულების ანგარიშებისა და დაგეგმილი პედაგოგიური აქტივობების წარდგენის ვადებია 30 ივნისი - 30 ივლისი

7.4. საგანმანათლებლო პროგრამებზე პასუხისმგებელი პირი 20-30 ივლისამდე ატარებს არჩევით კონტროლს პროფესორ-პედაგოგიური შემადგენლობის წარმომადგენელთა პედაგოგიური დატვირთვის შესრულებაზე

7.5. დაგეგმვისას გათვალისწინებულია შემდეგი საორიენტაციო ჩარჩოები: ****

(i) დაახლოებით 30% ეთმობა აუდიტორულ სასწავლო მეცადინეობებს

(ii) დაახლოებით 15% ეთმობა არააუდიტორულ სასწავლო მეცადინეობებს

(iii) დაახლოებით 5% ეთმობა სდმპ-ს*****

(iv) დაახლოებით 50% სასწავლო-მეთოდურ, სამეცნიერო-კვლევით და ორგანიზაციულ მუშაობაზე

**** შენიშვნა: სდმპ -სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობა შესრულებული პედაგოგის დავალებით, მეთოდური ხელმძღვანელობითა და უშუალო მონაწილეობით [მაგ: სტუდენტის მომზადება ლექციისათვის (ლექცია სემინარის ფრაგმენტის ჩასატარებლად, ავადმყოფის ისტორიის პრეზენტაციის ფორმატში, ა. შ.-იხ. დანართი)]

*****შენიშვნა: პედაგოგთა სტუდენტებთან სასწავლო მუშაობა დისციპლინის განმეორებითი შესწავლისა, გაცდენილი მეცადინეობების აღდგენისა და აკადემიური განსხვავების ლიკვიდაციის სხვა მიზნებიდან გამომდინარე ანაზღაურდება საათობრივი ანაზღაურების საფუძველზე (დამტკიცებული ცხრილის არსებობისას)

7.6. დაგეგმილი სასწავლო დატვირთვის შეუსრულებლობის ან გადაჭარბების შემთხვევაში პერსონალის სასწავლო მუშაობის ინდივიდუალურ გეგმაში შესაბამისი კომენტარები ფიქსირდება

7.7. ინდივიდუალური გეგმების შენახვის ვადა 5 წელია

7.8. პედაგოგის ინდივიდუალური სამუშაო გეგმის კორექტირება ხდება ხანგრძლივი ავადმყოფობისა ან მივლინებისას, ასევე აღმოცენებული აუცილებლობის შემთხვევაში

7.9. შეფასებისას ან საათობრივი ანაზღაურების პირობებში დამატებითი დატვირთვის შესრულებას პერსონალი ასახავს სხვა (ცალკე/დამატებით) ინდივიდუალურ გეგმაში

7. 10. სასწავლო დარგში პრორექტორთან შეთანხმებით შესაძლებელია სასწავლო დატვირთვის 1,5 განაკვეთის ზემოთ გაზრდა, მაგრამ არაუმეტეს წელიწადში საათობრივი დატვირთვის 300 საათისა

7. 11. სასწავლო წლისთვის დისციპლინების მიხედვით სასწავლო მუშაობის დაგეგმვასა და გაანგარიშებას აწარმოებს სასწავლო დეპარტამენტი შემდეგი დოკუმენტების მიხედვით: სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტი, ა. შ. პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით, სასწავლო ცხრილის და პერსონალის კატეგორიების, <u>მიმართულების (დეპარტამენტზე) მიმაგრებული დისციპლინების/კურსების შესახებ ბრძანების მიხედვით,</u> მორიგ სასწავლო წელს სტუდენტთა კონტიგენტის შესახებ არსებული ინფორმაციის საფუძველზე; ჯგუფებში სტუდენტთა რაოდენობის შესახებ არსებული ინფორმაციის; ჯგუფების ნაკადებად გაერთიანების თაობაზე სალექციო მეცადინეობებისთვის, ჯგუფების ქვეჯგუფებად დაყოფის აუცილებლობის შესახებ (გარკვეული კურსების ფარგლებში) მონაცემების, მომავალ სასწავლო წელს მიღების საკონტროლო ციფრებზე დაფუძნებისა და წინამდებარე დოკუმენტის საფუძველზე

7. 12. საშტატო ერთეულების რაოდენობა დამოკიდებულია სასწავლო სამუშაოს მოცულობაზე, განისაზღვება დადგენილი დროითი ნორმებისა და სტუდენტთა არსებული კონტიგენტის გათვალისწინებით

7. 13. საერთო პედაგოგიური შემადგენლობის გაზრდის (შემცირების) საფუძველია სტუდენტთა კონტიგენტის რაოდენობის გაზრდა (შემცირება).